

სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების საავანსო ანგარიშსწორების უზრუნველყოფის უპირობო გამოუთხოვადი საბანკო გარანტია

№APB/21 - 093049 21.01.2021წ.

გარანტი: სს არდი დაზღვევა / სკ 404858631

პრინციპალი: ა(ა)იპ „ზ.დანელიას სახელობის კავშირი თანადგომა“ / სკ 251719626

ბენეფიციარი: სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი / სკ 211324351

გარანტიის თანხა: 8,400 ლარი

საბანკო გარანტიის ვადა: 21.01.2021-დან 01.02.2022-ის ჩათვლით.

ძირითადი ვალდებულება: აფხაზეთის კონფლიქტის რეგიონში „აივ ინფექცია/შიდსით დაავადებულთა მკურნალობისა და მოვლის, ნარკოტიკების მოხმარებით გამოწვეული ზიანის შემცირების და ტუბერკულოზით დაავადებულთა მკურნალობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა“ პროექტის ფარგლებში სამედიცინო მომსახურება (შემდეგ – „პროექტი“)

ვალდებულების საფუძველი: პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის 13/01/2021წ. გაფორმებული ხელშეკრულება #GEO-H- T-NCDC/SP-7.1.

- გარანტი კისრულობს უპირობო და გამოუთხოვად ვალდებულებას ბენეფიციარის წინაშე, მისი პირველივე წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, ყოველგვარი უარყოფისა და გასაჩივრების გარეშე გადაუხადოს მას საავანსო ანგარიშსწორების წესით პრინციპალისთვის გადახდილი თანხა, მაგრამ არა უმეტეს გარანტიის თანხისა, პრინციპალის მიერ საავანსო ანგარიშსწორებასთან დაკავშირებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში და მისი შეუსრულებლობის ოდენობით.
- ეს საბანკო გარანტია მოიცავს საავანსო ანგარიშსწორების უზრუნველყოფას, მაგრამ არ მოიცავს პრინციპალზე დაკისრებულ საჯარო ან კერძოსამართლებრივ სანქციას (ჯარიმა, პირგასამტეხლო და სხვ.) ან დამატებით ხარჯებს (ექსპერტიზის საფასური და სხვ.).
- წინამდებარე საბანკო გარანტია ძალაში შედის ბენეფიციარის მიერ პრინციპალის ანგარიშზე ავანსის თანხის 8,400 (რვათასოთხასი) ლარის სრულად ჩარიცხვისთანავე.
- საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება საბანკო გარანტიის ვადის გასვლით, ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობით უარის თქმისა და საბანკო გარანტიის ორიგინალის გარანტისათვის დაბრუნებისას.
- ბენეფიციარის მოთხოვნაში უნდა აღინიშნოს პრინციპალის მიერ ვალდებულებათა შეუსრულებლობის ფაქტი და მოთხოვნის (ზარალის) ოდენობა. ბენეფიციარის მოთხოვნა უნდა იყოს წერილობითი ფორმის, ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ და გარანტს უნდა წარედგინოს საგარანტიო ვადაში. მოთხოვნის წარდგენის დღედ ითვლება მოთხოვნის უშუალოდ გარანტთან ჩაბარების დღე (მის.: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ.№3). დაუშვებელია მოთხოვნის ელექტრონულად, ფაქსით ან სხვა საშუალებით წარდგენა.

სს არდი დაზღვევა
JSC ARDI INSURANCE



404858631

სს არდი დაზღვევა
საბანკო გარანტიის აღმნიშვნელი
კოორდინატორის უფროსი